№ 63

ფასი 50 კაპ.

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამგე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 20 მარტი 1919 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 ჰ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. საგანდებოდ განცხადებანი დადგენილი ნიხრით, ცერცხლი განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დღის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 12—42.

საპოროთა ბათალიონის პირველი საპოროთა გუნდი მთელი თავის შემადგენლობით მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავიანთ გუნდის უფროსის კაპიტან

გიორგი დავითის ძის მიქელაძის

და ჯარის კაცებისა:

მარგველაშვილი გიორგის, ზაზიკაშვილი ისაკის, ჩიტაძე ნიკოლოზის

ახალციხის ფრონტზე მტრებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპვას. პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს 21 მარტს დღის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

382 2—1

საპაოროთა ბათალიონის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას პირველ საპაოროთა გუნდის უფროსი კაპიტან

გიორგი დავითის ძე მიქელაძის,

და ჯარისკაცების

მარგველაშვილი გიორგის, ზაზიკაშვილი ისაკის, ჩიტაძე ნიკოლოზის

ახალციხის ფრონტზე, რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპვის. პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს 21 მარტს 1919 წ. დღის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

382 2—1

სახელმწიფო თეატრი — ოპერა.

ს. ი. ეკლახიშვილის დირექცია.

ხუთშაბათს, მარტის 20-ს, საბანეევას, კანშინის, პოლიაევისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

ბოგემა

პარასკევს, მარტის 21-ს, სპიკოს, მოროზოვის, ერონსკის, ტაბენიცკის, მოლჩანოვისა და დემიანენკოს მონაწილეობით

წითელი მზე

შაბათს, 22-ს შეამბერგის, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით

ლტველო

კვირას, 23-ს, დილით

სნეგუროჩკა

საღამოს საბანეევას, სპიკოს, სარაჯიშვილისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

მინიონი

კბილის ექიმი

ნ. მ. კაპანაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 ს. მისამართი: ერეკის დიდმართი, № 1 ბინა 20. მელიქ აზარიანის სახლი.

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი

№ 7—8

„საქართველოს ეკონომისტი“

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდად გამოვა

დ. თურდოსპირელის ნოველების კრებული

გაწყვეტილი ზღაპარი

ფასი 5 მანეთი

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებათა წიგნიდიდან.

10 მარტი, 1919 წ.

№ 30.

დანიშნულია: ლაგოდების უბნის სასამართლოს გამომძიებელთან თარჯიმნად საქმის მწარმოებლად სოფიო ლეონის ასული მაჭარაშელი 1919 წ. პირველ იანვრიდან. თავმჯდომარე სასამართლოსი ვ. კიხარია.

№ 31.

სიღნაღის სამოქალაქო განყოფილების ბოქაული მაგზარიშვილი, მის საკორძიელთა წუწუებაში დანიშნის გამო, განთავისუფლებულია მე 2-ე სისხლის სამართლის კანცელარიის მდივნის თანამდებობის აღსასრულებლობიდან და ჯ. მოვალეობა დაეკისროს მდივნის თანაშემწეს ბერძნიშვილს.

№ 36.

ტფილისის ოლქის სასამართლოს გაეროვნებისა გამო დათხოვნილნი არიან სამსახურიდან, ახალციხის სამოქალაქო განყოფილების სასამართლოს ბოქაული მიხელ პირუმოვი, თანაშემწენი ტფილისის ოლქის სასამართლოსი ილია ზაბეგალოვი და კანცელარიის მოხელენი მარიამ კულიკოვსკი, ევგენია სმირნოვი, ეკატერინა ჩაბუკი, და ოლეა კორნეევსკი 1919 წ. 11 მარტიდან ხალიკედაკეთ ფულის მიცემით.

№ 37.

დანიშნულნი: ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწე ნიკოლოზ ბერძნიშვილი ახალციხის სამოქალაქო განყოფილების სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღსასრულებლად, და დატოვებულ იქნა აღნიშნულ სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში მდივნის თანამდებობის აღსრულებლად; პირველი რიგის გზის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღსრულებელი ლევან მაჭავარიანი იმავე განყოფილების მდივნის თანაშემწედ, კანცელარიის მოხელე ტფილისის ოლქის სასამართლოსი კონსტანტინე რატიშვილი იმავე სასამართლოს თარჯიმნად, ოგანეზ დავითიანი, გიორგი ნაცვლიშვილი, ტარიელ მილოფერიძე და ანა ქუდუხეიძე ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელედ, იოსებ ნატროშვილი, ივანე მაზიაშვილი, კონსტანტინე აბუღაძე და ფილიპე ეორონინი სასამართლოს გზირებად; ჯალისტრატე კიკვიძე პირველ რიგის გზის სასამართლოს გამომძიებლის თარჯიმნად საქმის მწარმოებლად ყველა 1919 წ. 11 მარტიდან.

№ 38.

დათხოვნილი არიან: სამსახურიდან, თანამდებობიდან სამსახ. წესდებ. მე-788 მუხლი, ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირნი: მიხელ ქართველიშვილი, გიორგი ჯიქია, ვასილ ალექსიშვილი, გიორგი ამირაჯიბი და არტემ ნაღბანდიშვილი 1919 წ. 11 მარტიდან.

11 მარტი, 1919 წ.

№ 40.

გადაყვანილი არიან: სასამართლოს ბოქაული ტფილისის პირველ სამომრგებლო განყოფილების გეგელაშვილი და მისამე განყოფილების ამბაძიე ერთი მეორის ადგილზე 1919 წ. 11 მარტიდან.

14 მარტი, 1919 წ.

№ 42.

დანიშნულია: ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირად შალვა დავითის ძე ფარსაშვილი 1919 წ. 16 მარტიდან და იგზავნება სამეცადინო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილებაში.

თავმჯდომარე სასამართლოსი **პ. კიხარია.**

იუსტიციის მინისტრისა.

15 მარტი, 1919 წ.

№ 82.

დაინიშნენ: ქუთაისის პირველ უბნის სასამართლოს გამომძიებლად ალაკი მომფორია და სვანეთის უბნის გამომძიებლად მანანა ქეთაშვილი 1919 წ. მარტის 14-დან.

№ 83.

დაინიშნენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგებად: ნაფიცი ვექილი ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი 1919 წ. მარტის 15-დან და ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ევგენი ვასილის ძე დრაგენციჩი 1919 წლის იანვრის 10-დან.

იუსტიციის მინისტრი

შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ცირკულარი.

№ 517.

წინადადებას ვაძლევ მილიციის ყველა მოხელეს და საგანგებო რაზმს, რომელიც იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ყოველ ჩაღებულ დანაშაულობაზე დაუყონებლივ ატყობინონ სპრაკურორო ზედამხედველობის პირთ და ერთდროულად აუწყონ ამგვარივე საუბნო გამომძიებლებსაც, რათა უკანასკნელი შეეძლოთ მისვლა იქ, სადაც შეიძახეგვა მოხდა და პირადად შეუდგნენ გამომძიების წარმოების წარმოებას: ცნობის მიწოდება შეიძლება სიტყვიერად, წერილობით და ტელეფონის საშუალებით. მე არა ერთხელ შემინიშნავს, რომ სპეციალურო ზედამხედველობა პირველად გამოვლინდა ტყობილობს ცნობებს, იმ დროს, როდესაც ზედნილ მოროზმოწყობებზე სასამართლო აპარატის ზემოთ ნებულ ორგანოებს პირველ რიგში უნდა ეუწყოთ. რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგადო სისხლის სამართლის ხასიათის მოროზმოწყობებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, წინადადებას გაძლევთ მაუწყოთ ერთდროულად როგორც მე, აგრეთვე სასამართლოს პროკურორს ყოველი შეჩერება ამისთანა შემთხვევებისა ეთანასწორება პროკურორ-ზედამხედველობის დაფარვას და ამაში დამნაშავე პირნი მიეცემიენი იქნებიან პასუხის გებაზე.

ტფილისის სასამართლო პალატის

პროკურორი **ა. გელაზარაშვილი.**

1919 წ. მარტის 18

ქ. ტფილისი.

ამაა ოფიციალური განთქმილება

დამფუძნებელი კრება

სამშაბათი, მარტის 18, 1919 წ. ტელისი, სასახლე.

სხდომა მე-3-ე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს უფროსი ასაკით ალექსანდრე ლომპათიძე.

დღიური წესრიგი:

1. პრეზიდიუმის არჩევა.
2. კომისიების არჩევა.
3. ს. დ. ფრაქციის საკანონმდებლო წინადადება.

რადგან არსენიძის საკანონმდებლო წინადადება გადაეცა საბიუჯეტო საფინანსო და საკონსტიტუციო კომისიებს.

პრეზიდიუმის წევრთა არჩევა.

თავმჯდომარის ამბახგებად არჩეულ იქმნენ **ექვთიმე თაყაიშვილი** (ერ. დემ.) **ს. მდივანი** (ს. ფედ.)

მდივნებად: ქრისტინე **შარაშიძე** (ს. დ.) და **გრიგოლ** ნათიძე (სოც. რეგ.)

ნ. ცინცაძე (ს. დ.) სოც. დემ. ფრაქციის სახელით წინადადებას აძლევს არჩეულ იქნას 4 კომისია.

სარეგლამენტო კომისია.

1. ლეო ნათიძე (ს. დ.), 2. ფრენკ არსენიძე (ს. დ.), 3. პაკელ საყვარელიძე (ს. დ.), 4. ლეო ნათიძე (ს. დ.), 5. კონსტანტინე ზურაბიშვილი (ს. დ.), 6. გოგოლა გვაზავა (ერ. დემ.) ილია ხუცუბიძე (ს. რ.) იესე ბარათაშვილი (სოც. ფედ.)

საკონსტიტუციო კომისია.

1. რაფიელ არსენიძე (ს. დ.), 2. სერგი ჯაფარიძე (ს. დ.), 3. პაკელ საყვარელიძე (ს. დ.), 4. ლეო ნათიძე (ს. დ.), 5. კონსტანტინე ზურაბიშვილი (ს. დ.), 6. კოსტანტინე ახვლედიანი (ს. დ.), 7. მელქიორ ტუსია (ს. დ.), 8. გოგოლა ფალავა (ს. დ.) 9. ს. წულაია (ს. დ.) 10. იესე ბარათაშვილი (ს. ფ.) 11. გოგოლა ლასხიშვილი (ს. ფ.) 12. სპირიდონ კვლია (ერ. დემ.) 13. გოგოლა გვაზავა (ერ. დემ.) 14. ია. გომბერი (ს. რეგ.)

საბიუჯეტო საფინანსო კომისია.

1. დიომიდე თოფურიძე (ს. დ.) 2. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.) 3. ხოუ ცინცაძე (ს. დ.) 4. დავით ონიაშვილი (ს. დ.)5. ანდრია ჭაბაშვილი (ს. დ.) 6. ელიკუმ შველი (ს. დ.) 7. კ. ფანიევი (ს. დ.) 8. გრიგოლ ურატაძე (ს. დ.) 9. ივ. ჭიპქნიძე (ს. დ.) 10. ალექსანდრე ასათიანი (ერ. დ.) 11. გერონტი ქიქოძე (ერ.დ.) 12. ს. მდივანი (ს. ფ.) 13. გრიგოლ ნათიძე (სოც. რეგ.)

სარედაქციო კომისია.

1. რაფიელ არსენიძე (ს. დ.) 2. ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.) 3. ოლღა სოლოლაშვილი (ს.დ.) 4. ი. გომბოლიანი (ს.დ.) 5. ს. ფირტხალავა (ს. ფ.) 6. იოსებ. ბაქვაძეისა (ერ.-დემ.) 7. გრიგოლ ნათიძე (ს.-რეგ.).

შემდეგი სხდომის მოწვევა.

შემდეგი სხდომის მოწვევა მიეცა პრეზიდიუმს.

ს. დემ. ფრაქციის საკანონმდებლო წინადადება.

სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას შეაქვს შემდეგი საკანონმდებლო წინადადება დეკრეტობის და მოხელეობაზე შეუთავსებლობისა და დეპუტატთა დიეტისა.

1) მთავრობისა დაწესებულებებში მოსამსახურენი არ შეიძლება იქნენ დროს იყენებენ დამფუძნებელ კრებისა წევრად. გაათავისუფლებენ შეიდგენენ: მთავრობის წევრება (ვინისტრები), მათი ამხანაგები, ელჩები და სახალხო გვარდიის შტაბის წევრები. ამ უკანასკნელთათვის შეთავსება დასაშვებია.

2) ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრებს და ხელისნებს არ ეკრძალებათ იყვნენ იმავე დროს დამფუძნებელ კრების წევრად.

3) დაენიშნოს დამფუძნებელი კრების წევრს გასამრჯელოდ 1,500 მან. თვეობრივად.

4) არავის არ აქვს უფლება აიღოს ჯამაგირი ერთ და იმავე დროს დამფუძნებელი კრებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ან ადგილობრივ თვითმართველობებიდან.

5) ყოველი წევრი დამფუძნებელი კრებისა, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებში მაახორებს, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან კანონის მიღებისა, წარმოადგინოს საბუთი იმისა, რომ მან შეუთავსებელი თანამდებობა დაატოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამფუძნებელ კრების წევრით არ ჩაითვლება და მის ადგილს შემდეგი კანდიდატი დაიკავს.

დამფუძნებელი კრების

შემდეგი სხდომა შედგება ხვალ, პარასკევის დღეს 12 საათზე. დღის წესრიგშია: 1. მოხსენებაზე მთავრობის შემადგენლობის შესახებ. 2. ახალი მთავრობის დეკლარაცია.

ახალციხის ფრონტზე.

(სამხედრო სამინისტროს ცნობა). ახალციხის ფრონტი. ვენ. კვინტაძის შტაბი. ახალციხის რაზმის ფრონტზე დღეს შეშიდათ ჩაარა დღის ჩ:მთან მოვიდნენ ურაველს, ღელის, დუშაღის და ხერთვისის სახუთადუბის წარმომადგენელნი, რომელებმაც განმიცხადეს, რომ მხათ არიან მიიღონ ყველა ჩვენი პირობები და დაჰყარონ იარაღი.

ახალციხის მაზრაში.

ბ. მაღლაკელიძის გამგზავრება.

დღეს საღამოს საგანგებო მატარებლით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მივემგზავრება რესპუბლიკის ადგილ-პრაკიის ინსპექტორი შ. მაღლაკელიძე, რომელსაც თან ახლავს საგუბერნიო მაჟორიტის ჭაშნიკები. მას დავალებული აქვს უკანასკნელი ამბების გამო გაძარცული მცხოვრებნი დახმარებაში გაუწიოს, ადმინისტრაციის უფუნქციონირებული ადგილებისა და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მისივე განკარგულებაში დანიშნული ჯგუფის ხელის გვარდია, რომელიც უნდა შეიდგეს მას ახალციხეში. ახალციხის და ახალქალაქის მაზრების საგეერალო-გუბერნატორო მოხსნილი უკვე და გენ. კვინტაძეს დაეკალა მხოლოთ სათარო ოპერაციების წარმოება, ხოლო ბ. მაღლაკელიძეს ამ დაკარგილი ადგილებში დაევალა სამოკალეო უწყების საქმეთა მოწყობა.

მთავრობაში

ახალციხე-ახალქალაქის მაზრისათვის

მთავრობის დაკავშირებით რესპუბლიკის დროებითი კომისიის ინსპექტორს ბ. შ. ნ. მაღლაკელიძეს მიენდო ახალციხე-ახალქალაქის მაზრათა დაკარგილ ადგილებში სამოკალეო ნაწილის მოწყობა. ამ საქმისთვის მის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან გადაიდო 300 მანეთი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

საგუბერნიო კომისარიატის ლიკვიდაცია

საგუბერნიო კომისარიატის ლიკვიდაცია მომთავრდება 1 აპრილისათვის, ხოლო საგუბერნიო სამხარეთველოში აპრილის შუა ნახევარში.

არეულობა ციხეში.

რესპუბლიკის დროებითი კომისიის ინსპექტორს შ. ნ. მაღლაკელიძეს ცნობა მოუვიდა, რომ საგუბერნიო ციხეში № 1 პატრონულთა ერთ-თაორთან შემდგარა რაღაც კომპრომისი ჩხეისი და არეულობაც მოშუშდა. გადაუჭრიათ მაკიოტები, გაუკეთებიათ თხრილები და ამიერიდანვე ოპტიმიზმის მოხდენა. 18 მარტს ბ. მაღლაკელიძე ფიცხლივ გაემგზავრა ციხეში და გაიცნო სამის ვითარება. მისი განკარგულებით ზოგიერთი მეთაურები ფიცხლივ იქნენა გაგზავნილი ქუთაისში, ნაწილი კი გადმოყვანილ იქნა მეტების ციხეში. დანარჩენ პატიმრთ კი მისცეს განკარგულებით მოესთო რეკრეაციის დაშვებისას მინიშნებული უფლება ღია კარებში ცხოვრებისა. 19 მარტს ხელმოწერეთ ქმილი ცნობა ბ. მაღლაკელიძეს, რომ პატიმრები არა სცხრებოდენ, ამის გამო გუშინდელიდან განკარგულება მიეცა საგუბერნიო ბათალიონის ასეულს ჩაჭრგარიონო ციხეში წესიერების აღსადგენად და ბათალიონის ჩასვლის შემდეგ გუშინღელიდანვე წესიერება იქმნა აღდგენილი ციხეში.

სახალხო განათლება.

უმალესეს და საშუალო სასწავლებლთა მოავარ გამგეს შემდეგი ცირკულარი იარი დაეგზავნა საშუალო სასწავლებელთა დირექტორებს: თანახმად სახალხო განათლების განკარგულებისა მასწავლებლებს, რომელთაც უკანათ კლასის დამთავრებლის ადგილი 24 გაკვეთილზე მეტი არ შეუძლიანთ მისცენ.

კლასის ალმზრდელი უნდა გამოცხადდეს სწავლის დაწყებამდე იმ შემთხვევაშიაც კი, თუ პირველი გაკვეთილის მიცემა მას არ ეწყობა საერთო წესიერების დასაცავად და მოსარგ მოწაფეთა დასანაწნათ. კლასისაგე აღმზრდელი ყურს უნდა უკვდებდეს თავისუფალ დროს გაკვეთილებს შუა მოწაფეთა დისციპლინას, როგორც კლასის თავზე გარეთ, ისე კლასში. კლასისაგე ან ზედილ გამოცდებებზე სხვა მასწავლებლთა მიერ გაკვეთილებს აძლევს და იგივე მოვალეა იმყოფებოდ ს გიმნაზიის ზენობაში, ვიდრე ყველა მოსწავლენი არ წავენ შინ.

ბათომში

მარტის 19. (ნატანებიდან საკუთარ კორ.) ინგლისელების მიერ ჩამოტანილი ფქვილის განაწილება, იმის მაგიერ, რომ ფურო გამოცილი დაწესებულებას სასურსათო კომიტეტს —გადასცემოდა განაწილებულებთ, ჯერ სალ ბათომში მოსახვედრი ფქვილის ნაწილის ნაწილი დაუნაწილეს ბათომის ფურნეებს, ხოლო ნაწილი ბათომის ფურნეებს გადაეცა ფურნეებს ფქვილის

ზერელე ხალხს ჩვენ მტრებს ძალიან უყვართ, რომ რეეოლიუციას სასტიკათ სწყინს ეკსპლოატატორებს და ეწრომედ ხალხის მტრებს. რეეოლუციონერი ძალიდობა რომ არ ყოფილიყო პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებდა. მაგრამ რეეოლუციონერი ძალიდობა აუცილებელი კანონია ეხოლიდ განსაზღვიფულ პირობებში და რეეოლუციის უფერო არსებით პირობა და გამარჯვება ესრის საორგანიზაციო ნიჭი. ჯერ ისევ ყრმა იყო სეეროლოგი, რომ რეეოლუციის სამსახურს შეუდგა, ოჯახს გაუძარცა, რამდენიმე წელი ციხეში იჯდა და გადასახლებული იყო. ამხანაგ ილიჩლოდიც ხშირათ იქნება სიმბოლო ერთგულ რეეოლუციონერის... (გაუგებარია). ეხის თავდები იქნება, რომ პროლეტარიატის ფარიდ მასა წინ წაეა, კომეხისტურ რეეოლუციის გამარჯვებისკენ". ლენინის შემდეგ ლაპარაკობს კამენევი. შემდეგ ერთხმათ მიიღეს რეზოლიუცია ნიენე ნოვგოროდში სეეროლოგის სახელობის სასახლეში პროლეტართა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ამ მიზნის განსახორციელებლად გადაიდო 25.000.00ე მანეთი. ჩოსკოეში ტეატრალურ მოედანს სეეროლოგის სახელობის მოედანი დარქვეა.

მოსკოვი, მარტის 18. მეუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების მესამე ყრილობას ხსდომები ხარკოვში ჰქონდა 6-დან 10 მარტამდე. ყრილობას დაესწრო 1707 კაცი, ხარკოვის, პოლტავის, კიევის, ეკატერინოსლავის, ხერსონის, ვოლინის და თავრიდის გუბერნიის დელეგატები და უკანონის წესით ყოფილი ჯარის 129 დეპუტატი. სტუმრებათ იყვნენ ლატვიის, ბელორუსიის და ლიტვის წარმომადგენლები. ყრილობას შემთხვევა ესპრთა კოსსტატცია და სრული ნდობა გამოუცხადა მეუშათა და გლეხთა მთავრობას. აირჩიეს უკრაინის ც. ა. კ., რომელშიაც შედის 90 კომუნისტი და 10 ეკრაინელი ესრი.

პროვინციაში.

ტფილისის ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი და ქუთაისის სახალხო გვარდიის თავმჯდომარე ქუმეფრიძე, პარასკევს 14 მარტს ღამით სოხუმში გაემგზავნენ.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობის ინფორმაცია მეძპარიაშელმა წარუდგინა მოხსენება ქუთაისის მაზრის სამკურნალო წყლების საექსპლოატაციო ორგანიზაციების მოწყობაზე. მომხსენებელმა შეაჯამა სტატისტიკური ცნობები, ქუთაისის მაზრაში სულ 17 სამკურნალო წყალია. წყლები ასეა განაწილებულები: რკინის სამკურნალო წყალი მდებარეობს: ს. საირმეში, ბაშურაში და სიმონეთში; ცივი გოგირდის წყლები: ს. ჯუსყიშენი, ხრესილში, ტყიბულში, მანდატორის საზოგადოებაში ფერისაში, ნერგეთში ალის იმერეთში, ცხელი მინერალური წყლების ობანები: ს. ჩერგეთში ჯოკნარში, ფიშორი და წყალტუბოში.

○ ქუთაისის სამაზრო ერობის სავეტერინარო ნაწილის გამგე აჭიმი ბესარიონ შენგელია, რომელიც ხონის რაიონში იყო წასული საქონ. ჭირთან საბრძოლველათ, დაბრუნდა ქუთაისში. ამ რაიონში სავეტერინარო ნაწილის გამგე ექიმ გორგ-ძესთან ერთად შაბათ აღესრიათ 1219 საქონლისავის. ამ დღეებში ერობას ვეტერინარი ექიმი ბ. შენგელია ქუთაისის მაზრის ყველა კუთხეს დაიელის და ადგილობრივ გაეცნობა—საქონლის ჭირს მაზრის რომელ კუთხეში უფრო მძლავრად აქვს მოდგმელი ფეხი.

○ მიმდინარე წლის იანვრის თვეში შრომის ბირაჟში ჩაეწერა 746 მამაკაცი, 22 დედაკაცი. გაიგზავნა სამუშაოზე 609 მამაკაცი და 8 დედაკაცი. მათ შორის თავის პროფესიის მიხედვით 604 და 13 სხვა პროფესიიდან მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ჩაეწერა—279 მამაკაცი და 25 დედაკაცი, გაიგზავნა სამუშაოზე 238 მამაკაცი და 8 დედაკაცი. თავის პროფესიის მიხედვით—236 და 10 სხვა პროფესიიდან.

○ ქუთაისის შრომის კომისარი ვ. ურუშაძე განმეორებით სთხოვს ყველა პროფესიონალურ კავშირების გამგეობებს, რათა სანჭირთო მოაწყონ. ცნობები თუ რამდენი დარგის მუშები შედიან მათ პროფ. კავშირში, რამდენი წევრი ჰყავს და როგორია მათი ხელფასი. ყველა ეს ცნობები შრომის კომისარს სჭირდება საეთომეოფო კასის დასაარსებლათ.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შეიძინა სქესოვი ქარხნის მოწყობილება, რომელიც სამტრედიაში ჰქონდა მოჭალე ფაბ. შათირაშვილს. ქარხანა მთთესეული იქნება ქარგასლის ქუჩაზე ძ. ჩარქვიანების სახლებში, რომელიც რაიონის პირას არის გამეფებული. სქესოვ ქარხნისათვის ერობის გამგეობამ უკვე შეიძინა რამოდენიმე ასეული ფუთი მატყლი. მუშაობა ამ მოკლე ხანში დაიწყება.

○ ქუთაისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს საუნო კომიტეტებისა და მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 17 ამა მარტიდან დაიწყება მარტის ულუფა შაქრის დარიგება—საუნო კომიტეტების საუნელებით, სულზე თითო გირვანქა, ძველ ფასებში.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ ხელშეკრულება დასდო ხელსაყენ პირობებში საექეიონერო საზოგადოების ნოვოროსიის (ეკატერინოსლავის) საწარმოებს Цинк-ის ოქრუნებულ ზაბადეცართან. ამ ხელშეკრულების ძალით ერობა მიიღებს მომავალში ხსენებულ ფირმის ექეიზეს.

○ 14 მარტს ქუთაისის სამაზრო ერობის შენობაში შესდგა ერობის მოსამსახურე სოც. დემოკ. კრება. კრებაზე დაადგინა შესდგეს ს.-დ. მეუშაეთ ჯგუფი მოსამსახურეებისა, გამოსძახა სურვილი, რაც შეიძლება მალე მოეწყოს ერობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. ბარჩიეს ოთხი ამხანაგი, რომლებიც მიეწერო კავშირისათვის წესდების პროექტის გამომუშავება და კრების მოწვევა.

○ წასულ ორშაბათს ბალახვანში მცხოვრებმა ივანე სახელშეიფლა თავის 16 წლის შვილი, კომერციულ სასწავლებლის მე-4 კლასის მოწაფე გრიგოლი გაგზავნა ბარისის წისქვილში (მდ. რიონზე) სიმიდის დასაფქვავათ. ბავშვი წისქვილის ბოსტნებიდან დაგლეჯილი ბეწვისქვილებით დედ-მამას ეტლით მიუყვანეს. საღამოვდე მოწ-ფე სამნიელ ტანჯვის შემდეგ სამშაბათს დილის 6 საათზე გარდაიცვალა.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს ქუთაისის მაზრის ერობას გამეორებს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, თქვენ ზნდა მიიღოთ მაზრის სამხედრო საკრებულოები თავის ჯონებით და ყოველგვარი საქმეები.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ დეპეშით შეატყობინა აღძრა განაცხადების მინისტრის წინაშე, რათა დაჩქარებით იქნას განხილი კრედიტ დაწყებული უმაღლესი სასწავლებლისათვის.

○ ს. ზედა-სურებში (ოზ. მაზრა) 26 თებერვალს, ქორწილში ონისიმე სირომანაძე შვილისას შეილ მისას, იარაღის ვარაკიშობის დროს იარაღი გაუვარდა; ტყვია მამას კისერში მოხვდა და იქვე გარდაიცვალა; ასეთი უცაბედი მარცხის გამო შეიძლა თავის მოყვა მოინდომა, მაგრამ დროზე მიასწრეს.

ძროხიპა

○ 17 მარტს, საღამოს 7 ს. უქნობ პორტ გამზრახველებმა გაძარცვეს ი. დანელოვის სავაჭრო სახლი (პუშკინის ქ. № 17) ფიდელ დაახლოვებით 300.000 მან. საღიროები საქონელი.

○ 16 მარტს, პორტ-გამზრახველებმა გ. აკოპოვის ბინიდან 20.000 მან. სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს.

○ ამ დღეებში ამიცერთა ტკონმიური საზოგადოებიდან (ცირპიწი ქ.) მოიპარეს 50 ათასი მანეთის სხვა და სხვა საქონელი. ეძებთ გ. ადამიძე შეიპყრეს.

○ 18 მარტს, საღამოს 6 საათზე, თათრის მოედანზე მცხოვრებ მაჰმადიანებმა დღესასწაული (ბაირამი) გამო ასტეხეს სროლა, რომელშეც დიდი შიში გამოიწვია მცხოვრებლებში. ადმინისტრაციამ ასწრაფო ზომები მიიღო სროლის შესაწყვეტათ. სროლის დროს უცაბედათ მოკლეს მეექსტე რაიონის სახალხო გვარდიის მებინანი.

○ ვინაიდან ცოტა გვიან შეეტყეთ მთავრობის განკარგულება სალიტერატურო გასაწარმოებლათ „სომხეთი და საქართველოს" ავტორისეული გამო და მიიეთები უკვე დაყიდული იყო და ხარჯიც გაწეული, პეტროგ ბოდნის ვიხდით საზოგადოების წინაშე, რომ დროზე, საშუალება არ გვქონდა გავეეფრთხილებინა საზოგადოება. ის პატივცემული პირნი, რომელნიც არ დაესწრენ ე. იმედაშვილის ლექციას: „სომხეთი და საქართველო" (სალიტერატურო განძილვა, მთავრობისაგან ნება დართული) უკან დაიბრუნეს ბიეთის ფული. აღნიშნეს ს.ს. წერეთელი.

○ კაეკაეიდან ტფილისში ჩაწოდა ამიერკაეკასიის შრომისა და სრულთა ყოფილი კომისარი აჯარ ტერ-ყაზარიენი.

○ **მეხსიერი ქალის ნინო ორბელიანის** დაკრძალეა იკისრა მწერალთა კავშირის საბჭომ. თავრობამ კი დაკრძალვის ხარჯებისთვის გადაცხო 5000 მ. მიეცათებულს დასახელებენ ხუთშაბათს, 20 მარტს დილუბეში, ხალო წირვასა და წესს იმავე დღეთ შეასრულებენ დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში.

○ რკინიკაიმ მიიღო თ. მთავრობისეული ახანაგობის გამოკეთ: პროფ. ივ. ჯავახიშვილის: „ქართული სახალხო ისტორია," წიგნი I. წიგნი შეიცავს 218 გვერდს, სუფთად და კარგათა გამოცემული, ღირს 15 მანეთი.

○ 17 მარტს სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო ლმატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან ე. შ. ევანგულოვი ეწვია რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

○ 23 მარტს საარტისტო საზოგადოებაში ყარაბაღ ზანგეზურის მაზრათა მცხოვრებთათვის იმართება საღამო.

○ 17 მარტს საღამოს 10 საათზე პორტ-განწყრახველებმა საარტილერიო ბრიგადის გამგეობას საწყობი გაძარცვეს. წაიღეს ათა ობი ეროვნული საკონელი, რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

○ ამავე დღეს საღამოს 8 საათზე, პორტ-გამზრახველები დაეკენენ ძმეზ ხარბატოვებს (ერილოვის ქ. № 1) ორივე ძმები მძიმეთ დაჭრილა.

სია

ჩაუბარებელი დეპეშების ტფილისის ცენტრალური ტელეგრაფის კანტორის 19 მარტის 1919 წ.

სადაბლოდან—ზახველიანს, ქარელიდან—დოღონაძეს, წუსიდან—ხბარტლაძეს, გორიდან—მარკოლოს, ყვირილიდან—მიქაბაძეს, ასბაბადიდან—ოვანესოვს, ბაქოდან—ათზენიეს, მერვიდან—ხვარიდოვს, ბაქოდან—რატინოვს, ბაშირიდან—სეხნიაშვილს, ჩობაღირიდან—ჩიკოგიძესათვის, გეოყჩაიდან—ყოკოსოვს, სოხეთიდან—ფენიეს. ჯუბათიდან—ულიკაძეს, დემაღიდან—სულთანოვს, გუდაუთიდან—ხადოვს, ერივანიდან—აბრამოვს, დელეიჯანიდან—ატოშიანს, ბაქოდან—გაბაიოსიას, გორიდან—ჯანდაცაშვილს, ანშურიდან—ქეხვრიშვილს, ალავერდიდან—მატევოსოვს, გორიდან—ლეკიეიეს, სურამიდან—ნიბიკოვას, მერვიდან—სოკოლაეს, ტერტერიდან—იმანოვს, ოზურგეთიდან—სიეიეკის, დელეიჯანიდან—სარქისოვს, ბორჯომიდან—ელანსკის, ალავერდიდან—გრიგორიანს, სამტრედიიდან—კაკაბაეს, სილნაღიდან—უკუკლატენეულს, ქუთაისიდან I გვნე.—კუბიანიძეს, განჯიდან—კალანტაროვეს, იქიდანვე—ალიევს, ბაქოდან—ავალაროვს, წყორისწყლიდან—მაისუროვს, შუშიდან—ბარუთოვს, ანანეთიდან—შეზგარიშვილს, სუხუმიდან—შერვაშიძეს, იქიდანვე—ერმაკოვსკოს, თემ. ბ. ზერიდან—დიმოის, შორაპანიდან—ძიბძიბაძეს.

ნიხრი

ფიჩხზე, ჯაეოზე და შეშაზე, რომელიც ქალაქო სოფლის მცხოვრებთ საქართველოს ტყეებიდან შეაღავთიან ფასებში მსოლოდ ძინაური სააწრაფიოსთვის.

№	სორტიმენტები.	ერთეული შეღებულთან ერთად ფასებში არა ფიქრებს.	ღირებულება. ასი.	ათასი.	ერთი საქონი.	
			მან.	მან.	მან.	კაპ.
1	გაუპობეკი ფიჩხი 3 არშინ.—1/2 ვერშოკამდე.	1/2 სტ.	—	—	9	20
2	წნელი 3 არშ.—3/4 ვერშოკამდე.	1/4 სტ.	—	—	60	—
3	ჭიგო 3 არშ.—3/4 ვერშოკამდე.	500 ცალი	2,5	25	—	—
4	მარგილი 3 არშ.—1 1/4 ვერშოკამდე	100 ცალი.	5	50	—	—
5	სარი 3 არშ.—1 1/2 ვერშოკამდე.	75 ცალი.	6	60	—	—
6	შეშა რეხილი და სხვა მაგარი ხის 1-ელ ხარისხისა	ბაზარში სადგურ, ნაპირი	—	—	20	—
7	იგივე შეშა 1 ელ ხარისხისა.		—	—	30	—
8	იგივე მე 2 ხარისხისა		—	—	25	—

რაჭის და ლეჩხუმის რაიონებისთვის სვანეთში.

სხვა დანარჩენ რაიონებში.

458 1—1

ტყეთა ინსპექტორი **ს. ჭურდიანი.**

წესდება

ელინთა ნათის საბრწყვეტლი და სვეტ-ცხოვლისა საქართველოსი კავშირისა

„ბიზანტია"

§ 67. თუ საზოგადოების მომჭედება შეწყდება, აქციონერთა საზოგადო კრება ირჩევს თავის წრიდან სალიკვიდაციო კომისიისთვის არა ნაკლებ სამი პირისა, დანიშნავს მის ბინას, თანახმად ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის დამტკიცებისა და გამოარკვევს საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაციის წესს. სალიკვიდაციო კომისიის ბინა შეიძლება გადატანილ იქნეს საზოგადო კრების დადგენილებით, თანახმათ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის დამტკიცებისა. სალიკვიდაციო კომისია მოვალეა საზოგადოების ქონება ფულად გარდაქმნას და განსაზღვრის ვადაში დაიწყოს საზოგადოების კრედიტორებს, და იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას არაფერი მართებს ბანინის ნივთის პროდუქტებზე გადასახადებ. მოდან, ლიკვიდაციის ზომები მათი დასაკმაყოფილებლად, ამდენს საზოგადოების ქონების რეალიზაციას და ფულისშეხებები მესამე პირებს საზოგადო კრების დადგენილების მიხედვით.

თანახ. რომელიც საჭიროა კრედიტორების და გვრეთვე სადაო მოთხოვნათა სრულიად დასაკმაყოფილებლად, სალიკვიდაციო კომისიამ უნდა შეიტანოს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში კრედიტორების ხარჯით; ხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება აქციონერთა დაკმაყოფილება იმ ფულით, რომელიც რჩება საზოგადოების განკარგულებაში. სალიკვიდაციო კომისია მოქმედების შესახებ წარუდგენს ანგარიშს საზოგადო კრებას, უკანასკნელის მერე დანიშნულ ვადებში, და ამის დამოკიდებულებად ლიკვიდაციის გათავებისას, წარუდგენს საერთო ანგარიშს. თუ ლიკვიდაციის გათავებისას, ყველას, ვისაც ეროგებოდა ფული, არ ჩაბარდა, გამოუცხადებლობის გამო, საზოგადო კრება გადაწყვეტს, სად უნდა იქნეს მიბარებული ეს ფული, სანამ პატრონებს ჩაბარდებიდეს, ან როგორ უნდა მოიქცნენ ის შემთხვევაში, თუ ვადაზე პატრონი არ გამოცხადდა.

§ 68. როგორც დაწყება ლიკვიდაციის, აგრეთვე მისი გათავება, განკარგულებათა განხორციებით, პირველ შემთხვევაში გამეო-

ბის მიერ და მეორე შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიის მიერ წარდგენება ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის, და აგრეთვე სათანადოთ გამოქვეყნებული იქნება აქციონერთა და ყველა იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ საზოგადოებასთან.

§ 69. ამ წესდების წესები, რომელიც ეხება გამგეობის ბინას, გამგეობის წევრთა რაოდენობას არჩევის ვადებს და მათი მოადგილეების არჩევას (§§ 19, 20, 22) და იმ აქციების რიცხვს, რომელიც უნდა წარმოადგინონ გამგეობის წევრებმა და დირექტორმა გამგეობა თანამდებობის მიღების დროს (§§ 21, 26), გამგეობაში თავმჯდომარის არჩევას (§ 23), საზოგადოების საქმეთა შესახებ მიწერ-მოწერას და გამგეობის მიერ გაცემულ ქაღალდებზე ხელმოწერას (§ 29), გამგეობის მოწვევის ადგილებსა და ვადას (§ 32), საოპერაციო წლის გამოანგარიშების წესს (§ 35), ჭეშმარიტის საზოგადო წლიურ კრებების მოწვევის ვადას (§ 44), აქციონერთა მიერ გამგეობაში წინადადების შეტანის ვადას (§ 48) და აქციების რიცხვს, რომელსაც ხმის უფლება აძლევს საზოგადო კრებაზე (§ 50), შეიძლება შეიცვალოს საზოგადო კრების დადგენილებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მინის ტრის დადასტურების თანახმად.

§ 70. ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ამ წესდებაში არ არის აღნიშნული, საზოგადოება ხელმძღვანელობს ამ წესებით, რომლებიც დადგენილია საქციონერო კომპანიისთვის, და აგრეთვე საერო კანონდებულებით, რომლებიც ცხლა მოქმედებენ, ან მომავალში იქნებიან გამოცემული.

საზოგადოების დამაარსებელი ნაფიცი ვექილი მიხეილ პაცეულ ძე **პარასკევოვი**.

განცხადებები

დანიელ სააკის ძე მალხასიანცი აცხადებს, რომ სვეაჭრო სახლის „ძმ. კუსის“ კონოსამენტი № 10 გემი „რისაო“-დან მისაღებ ტვირთის შესახებ, რომელიც შეიცავს 132 ცალს: 119 ცალი სოდა და 13 ცალი ლიტა, დაკარგული და გაუქმებულად ითვლება. 445 3—1

ლაზისუთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს, ღიიდან ამა განცხადების დაბეჭდვისა, ექვსი თვის ვადაში, მემკვიდრეებს გამოსაცხადებლათ თავის უფლებისა ქონებაზე, დაბაში შემდეგ გარდაცვალებისა მცხოვრების სოფ. ჯუნჯადეში ოზურგეთის მაზრისა ლევან ბუკუას ძის ვასახვაძისა. 456 1—1

ხონის მომრიგებელ უბნის გამგეობიდან ღიდან ამა განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში გარდაცვალებულ ვალუიან ბესარიონის ძე ნემსაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავი უფლება ხსენებულ ნემსაძის საკედლიის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ. 426 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 3-ს სოხუმის ოლქის სიტუაციის საქმეთა ნუს. ბაში მე 1581 № ით აღნიშნული ქუთაისის ოლქის სასამართველოს გადაწყვეტილების პირი, რომლითაც გარდაცვლილ სიმონ იაკობის ძე გოლოვინის ქონებაზე უფლება დამტკიცდა ნეონილა ალექსანდრე ასულს და ლეონიდე სიმონის ძე გოლოვინების სახელზე. მამული შეიცავს მ.წყა სამ ნაკვეს ქ. გუდაუთაში, უბ. 57 № № 1, 2, ზომით 750 ოთხ. საჟ. 1206 1—1

1919 წ. იანვრის 29 ს ქუთაისის ოლქის სასამართლომ სისწრულები მოსაკვანად დამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ივანე იოსების ძე შევარდნძისა. 424 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 ნუხ. ძალით, ტყლიის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ გორის მოშობაგებულ განყოფილების ყოფილ მოსამართლეს ფრანც ანტონის ძე ლაშკევიჩს, რომელსაც ბრალი ედება სისჯ. დებ. 2. 3. და ნაწ. 354 და 362 მუხ. თანახმად. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ლაშკევიჩი, ვალდებულია განცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში იმყოფება ლაშკევიჩის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეატყონონ სოოპ.ეკუნი სამმართველოში.

402 1—1

მეგრან ლევანის ძე შავერდოვი აცხადებს, რომ 25 თებერვალს მის ბინიდან, (დიდი მთავრის ჭუბა № 35, სახლი ასრიეთის) ბოლორტომჭედლებმა გაიტაცეს 1500 მანეთის თეთრუფილი, 16 გირვანქა შაქარი, 300 მანეთის, 3 დიუჟინ ბანჯო, 360 მანეთის და კვიცსანი № 32296, მოცემული ფრიდონ ვის კანტორიდან, იმაში რომ ხსენებულ ბანჯოში დაგროვებული ქონება მომგებიანი ბილეთი მეორე სუსხისა № 14265/40 ეს ბილეთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

361 3—1

პირადობის მოწმობა, მიღებული კავკასიის რკინის გზის კონტროლიდან ლეე პავლეს-ძე უშ ნსკის სახელზე დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.

381 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვლის 5 დამტკიცებულია 1918 წ. დეკემბრის 25 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლიკინი გენრიხის ასულმა გოკიელიანმა 28.571 მან. მიჰყიდა მარიამ სიმონის ასულს და ვიტოლდ სიმონის ძე გოკიელიანებს, დარჩა, იაკობ, თადეოზ და ვასილ არუთინის ძე ბერაჩეკებს მიწის ნაკვის 1/2 ზედნიბით ქალაქ ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე, ზომით: ფასი. დასვეო.—88 საჟ., ჩრდილ.—43/4 საჟ. სამხრ.—11 საჟ. სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 1.142 მან. 84 კაპ. მთავარი ამონაწერი 145 მ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. თებერვლის 5. 438 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მარტის 6 დამტკიცებულია, 1918 წლის დეკემბრის 26 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილია ალექსის ძე წინამძღვრიშვილმა 6.884 მან. მიჰყიდა იოსებ მალხაზის ძე კვანსიძეს მიწის ნაკვეი ქალაქ ქუთაისში ძველი ტფილისის ქუჩ. ზომით: 70 ოთხ. საჟ. სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 275 მან. 36 კაპ. მთავარი ამონაწერი 34 მ. 50 კ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. მარტის 6.

439 1—1

ქალაქ ქუთაისის სამომრიგებლო განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლილ დარია ბესარიონის ასულ ურუტაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ურუტაძის ქონებაზე. სამ. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 427 1—1

1918 წ. დეკემბრის 7-ს ტყლიის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პლატონ შინას ძე კახიძემ 4.000 მ. მიჰყიდა ისიდორე ჩაჭრიას ძე ჩლიაძეს მამული ქ. ტყლისში მე-9 უბ. ქალაქის № 354. მამული შეიცავს მიწის ნაკვის შენობებით ზომით დაახლოებით 30 ოთხ. საჟ. გადახდილია: საჩუქრო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ. სამტკიცის 160 მ, მთავარი ამონაწერი 20 მ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 12 1—1

1918 დეკემბრის 10-ს, ტყლიის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვეტერან გიორგის ძე სარქისოვმა 50,000 მან. მიჰყიდა ოვანემ მოსესის ძე სარქისოვს მიწის ნაკვეი შენობებით, ზომით 160 92/100 ოთხ. საჟ., რომელიც მდებარეობს ქ. ტყლისში მე-7 უბ. ქალაქი № 593. გადახდილია: საჩუქრო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ., სიმტკიცის გადასახადი 2.000 მან. მთავარი ამონაწერი 250 მ. ღირებულების, საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 10 1—1

1918 წ. დეკემბრის 6-ს სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტატიანა, იგივე ტატო არტემის ასულმა არუთინოვმა, იგივე გუკასოვამ 24.000 მან. მიჰყიდა ესტატე ვასილის ძე ჩაგანავას მიწის ნაკვეი ზომით 37 ოთხ. საჟ., რომელიც მდებარეობს მეცხრე უბანში, ქ. ტყლისში აღექსეევის ბანდში, ქალაქის № 593. გადახდილია: საჩუქრო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 960 მან., მთავარი ამონაწერი 120 მან. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 11 1—1

ქალაქ ქუთაისის სამომრიგებლო განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლილ ერასტი პეტრეს ძე პოლაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პოლაძის ქონებაზე სამ. კანც. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

428 1—1

ტყლისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ქუთაისის მოქალაქის გაიდაკაციანოვ ივანე გაბრიელის ძე გურგენიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გურგენიძის ქონებაზე სამ. კანც. კრებ. 1 ნაწ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 331 1—1

ქ. ტყლისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულ ოსებ—სოსიკ ხუტუს ძე, იგივე სიმონიძე კოკაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კოკაშვილის ქონებაზე სამ. კანც. კრებ. 1 ნაწ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 332 1—1

სოხუმის პირველი უბნის მომრიგებელი მოსამართლე ეცქით თვის ვადაში იწვევს იმ პირთ, რომელთაც შეეძლოთ განაცხადონ თავისი უფლება 1918 წ. დეკემბრის 20 გარდაცვლებულის კალის ტრატე ნარსიას ქონებაზე.

441 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 1919 წ. მარტის 3-ს დამტკიცებულია, 1914 წ. აგვისტოს 19 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც თედორე სიმონის ძე შავგულიძემ 1800 მ. მიჰყიდა ვლადიმერ თედორეს ძე შავგულიძეს მიწის ნაკვეი შენობებით ქ. ქუთაისში, გიგოთის ქუჩის ბანდში, ზომით 278 ოთხ. საჟ. სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 136 მ. მთავარი ამონაწერი 17 მ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. მარტის 3 ს.

437 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მარტის 7-ს დამტკიცებულია, 1918 წ. დეკემბრის 28-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ვასილვისძე გერძავლისამ 10.000 მ. მიჰყიდა ლეონტი ალექსის ძე ზოდელავას მიწის ორი ნაკვეი შენობებით ქ. ფოთში, დიდ ქუნძეზე, ზომით 400 ოთხ. საჟ. სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მ.ნ. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია 1919 მარტის 7-ს. 436 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 7 სოხუმის ნოტარიალურ ბჭეზეს სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ში 200 №-ით აღნიშნული გუდაუთის ნოტარიუს მეკლობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც კირიაკია ნიკოლოზის ასულმა შეათავსა, იგივე კაშად-ოღლიმ სალარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა ქ. გუდაუთს, და რომელიც შეიცავს მიწის ნაკვეს, № 2. ზომით 250 ოთხ. საჟ. ფასი 52 მ. 50 კ. მთავარი ამონაწერი 50 კ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია.

1325 1—1

ტყლისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. აგვისტოს 1 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ზაქარია ნიკოლოზის ძე სიდამონოვ-ერისთავისა. 432 1—1

ტყლისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 15 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი დეკანოზი ნერსეს ტერ-არუთინის ძე გამაზინისა. 433 1—1

ქ. ტყლისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე ეცქით გარდაცვლებულ ანნა დიმიტრის ასულ გაგლოევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გაგლოევის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 374 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის თებერვლის 11-ს დამტკიცებულია, 1918 წლის დეკემბრის 30 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც აბრამ კონსტანტინეს ძე ჩილინგარაშვილმა 12,000 მან. მიჰყიდა გიორგი თემურაზის ძე ხუპალავას მიწის ნაკვეი შენობებით ქალაქ ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე. ზომით 376,92 ოთხ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 480 მანეთი. მთავარი ამონაწერი 60 მან. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. თებერვლის 11-ს. 436 1—1

ტყლისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს სოფ. ხაშნის, ტყლისის მაზრ. მცხოვრების გარდაცვლებულის დავით იოსების ძე ხაბაზიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამაბარიშვილის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 371 1—1

სიმონ იოსების ძე მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ამიერ კავკასიის ბანკის აქცია, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 378 3—3

ამით ვაცხადებ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კოოპერატივის წევრი, ჩემს სახელზე გამოტანილი, დაკარგული და გაუქმებულათ ჩაითვლება. მიხეილ სიმონისძე ლორთქიფანიძე. 377 3—3

მე ნ თე ქვეითა რაზმის უმწყობრო გუნდში ყოფება უვარგისი ფურგონის თვლები, მისი ნაწილები და უვარგისი ცხენის ტყავ მოსართავები. შეუძრებია დანიშნულია 19 მარტს დილით. დაწერილებითი ამბავი პოლკის ინტენდანტთან. 373 3—3

დიანოზ ლუკას-ძე ინასარიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან 1918 წ. თიბათვეში, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

მირკეტრ კასპარ ავეტიანცი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 496, რომელიც გაუქმებულად ითვლება. 340 3—3

არუტენ აგაჯანოვ-ს ძე იოზნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფ. სახელმწიფო ბანკის ქეტანცია № 51077, 10000 მანეთის, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 381 3—2

ვ. ა. პაპაჯანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. და დროებითი მოწმობა დემობილიზაციისა. პასპორტი და მოწმობობა გაუქმებულად ითვლება. 347 3—3

იაკობ გაბრიელის ძე პუზინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხელწერილი, მიღებული ყარსის ხაზინიდან 30,000 მანეთისა რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 376 3—2

ვასილი მაღრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო საბჭოს წიგნაკი, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 379 3—2

ზაქარია გიორგის ძე მაღალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. ფურნიტარისის მიერ 1912 წ. ივნისს 1-ს რეესტრო № 1918.

369 3—2

ნინო ვასილის ასული ნოზნიანი ნოზნიანცი აცხადებს, რომ ჩრშენების ქალაქი, მიცემული ბოლო ამოლონ დიმიტრის ძე თათაშვილის სახელზე და შედგენილი ტფილისის ნოტარიუსის მიტაკვეიანის 1918 წ. მარტის 8 № 1110—გაუქმებულად ითვლება. 370 3—2

მე-5-თე კვეითა რაზმის უმწყობრო გუნდში

იყოდება უვარგისი ფურგონების თვლები, მისი ნაწილები და უვარგისი ცხენის ტყავ-მოსართავები, შეუძრებია დანიშნულია 22 მარტს დილის 11 საათზედ. დაწერილებითი ცნობები რაზმის ინტენდანტთან.

2—1 მე-5 რაზმის უფროსი, გენ.-მაიორი **ბალუაშვილი**.

სტამბა სა'ართველოს მთავრობისა. რედაქტორი პ. დ. ხ[illegible]ძე